საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/16

ქ. ბათუმი 25 თებერვალი, 2022 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2022 წლის 16 თებერვლის N155110 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში არაუმეტეს **2 (ორი)** თვის ვადით სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.
3. კონკურსანტმა **2022 წლის 28 თებერვლიდან 2022 წლის 04 მარტის** ჩათვლით ბსუ-ს ელექტორნული ფოსტის (Info@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:
   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;
   დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი;
   ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ) ცნობა სოციალური დახმარების მიღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
   ზ) სამოტივაციო წერილი.
4. სტაჟიორთა შერჩევისას გაითვალისწინება: ინგლისური ენის ცოდნა; საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; სტუდენტის აკადემიური მოსწრება და მოტივაცია. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება სოციალური დახმარების მიმღები ოჯახის კანდიდატს.
5. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი, შერჩეულმა კანდიდატებმა 2 თვის განმავლობაში გაიარონ სტაჟირება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში შემდეგი განრიგით:
   ა) 2-მა სტაჟიორმა პირველ ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი 9^{00}სთ - 13^{00}სთ;
   ბ)2-მა სტაჟიორმა მეორე ცვლაში: ორშაბათი - პარასკევი 14^{00}სთ - 18^{00}სთ.

6. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებითა და სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.
7. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვიანი კონტრაქტით და მათზე გაიცეს სერტიფიკატები.
8. წარმატებული სტაჟიორების კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში, ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით.
9. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისიები, რომელებმაც განსაზღვრონ კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსონ ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
10. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
11. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ი. ჩხარტიშვილი**